

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან

(„ქართული სამართლის ძეგლების“ მიხედვით)

„ქართული სამართლის ძეგლებში“ ძირითადად XV—XIX საუკუნეთა იურიდიული ხასიათის ტექსტებია წარმოდგენილი. ამ „რეტომეულის სახით მკითხველსა და მკვლევარს ხელთ აქვს ქართული სამართლის უმნიშვნელოვანესი წერილობითი წყაროები, რომლებშიც ასახულია ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ცივილიზაციისა და სამართლებრივი კულტურის განვითარების დონე“<sup>2</sup>. აღნიშნული წერილობითი წყაროების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების სხვადასხვა დარგის, განსაკუთრებით კი — ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის კვლევისათვის<sup>3</sup>.

ამჟამად ჩვენი მიზანია XVIII საუკუნით დათარიღებული მასალის მიმოხილვა. შინაარსობრივად ესაა ქართველი მეფისა და ეროვნული მოღვაწის — ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ქრისტიანულ სამყაროში მოქმედი მოსეს სჯულის, სირიულ-რომაული, ბიზანტიური და სომხური კანონები, სასამართლო განჩინებანი, არზაოქმედი, კერძო სამართლებრივი აქტები... მიმოხილვის მიზანია აღნიშნული (გარდამავალი) პერიოდისათვის ნიშანდობლივი ძველი და ახალი ქართულის ფორმათა თანაარსებობის წარმოჩენა (ამჯერად — მხოლოდ მორფოლოგიის თვალსაზრისით).

საინალიზო მასალაში სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული ვითარება უფრო ახალი ქართულისა ჩანს, ვიდრე ძველისა. ამის დასტურია ის, რომ ფაქტობრივად არც გვხვდება თანხმოვანფუძიანთა წრფელობითი (თუ არ ჩავთვლით ორიოდ მიმღეობას შედგენილი შე-

1 ქართული სამართლის ძეგლები, ტტ. I—VIII, „მეცნიერება“, თბილისი, 1963—1985. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ.

2 ი. დოლიძე, წინასიტყვაობა, ქსძ, VIII, 1985, გვ. XII.

3 როგორც გამოკვლევით აღნიშნავს, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ტექსტების უშეცდომოდ გამოცემა (იქვე). ამიტომ ამა თუ იმ საკითხზე შესჯელობისას შეძლებისდაგვარად ვითვალისწინებდით ზღუნაწერთა ჩვენებასაც.

მასმენლის სახელადი ნაწილის ფუნქციით: „მღვდელ-მონაზონი დიმიტრი, რომელიცა დაყენებულ არს მღვდელ-მოქმედებისაგან და მოსრულ“, VI, 403, 16—17).

ჩვეულებრივ, გაუფორმებელია ხმოვანფუძიან სახელთა სახელობითი ბრუნვა (სამუშაო, სახე, საქმე, სიტყუა...):

სახე და საქმე მისი კეთილად გასინჯოს (I. 206,8); დავითის წილი ყმა და მამული საერთოთ დარჩა (VI. 386,8); ამ ათს წელიწადს ქირა აუღია დავითას თავის სარგებელზედ მეტი... (VI. 365,3—4); ... მომართვეს მე არზა (VI. 406,8); სასახლე ესრეთ გაუყავით (IV. 253,29); ... წყარო და აღგეთამდინ ზევითი ცხევისა არის... (IV. 229,13—14); მივიდეს და ის სიტყუა<sup>4</sup> მოსამართლეს მოახსენოს (I. 205,5)...

მოთხრობითი ბრუნვის ნიშნებად დასტურდება როგორც სრული ფორმა ძველქართული აფიქსისა -მან, ისე მოკვეცილი ფორმებიც: -მა, -მ. -მან ფორმანტი ქარბობს თანხმოვანფუძიანებთან (დედაკაცმან, მღვდელმან, მტერმან...):

უკეთუ კაცმან ანუ დედაკაცმან ანუ ყმაწვილმან დაიფიცოს რაზედმე სიმაართლით, დაიჯერება (I. 187,22); მღვდელმან მან ის კაცი სასამართლოში მიიყუანოს (I. 185,11); ჩვენ, მეფეთმეფემან პატრონმან ნაზარალიხან ესე განაჩენი და გარიგება ჩვენც ამრიგად დაგვიმტკიცებია (IV. 195, 19—20); ... მისგან დაწერილი წიგნები გაუსინჯეთ და თავისმავ წიგნმან ფამტყუენა (IV. 202, 5—6)...

ძალიან ხშირად გვხვდება -მა ფორმანტი (დედაკაცმა, მღვდელმა...):

დედაკაცმა თუ კაცნი მოატყუოს და საქონელი გამოართვას... ისევ დედაკაცმა მისცეს (I. 178,18); მოსეს შვილმა ეს უბასუხა (IV. 203,1); მართალი თქვა თუ ტყუილი, იმისმა სულმა იცის (IV.206,6—7); ... გიროთ... მისცა ამილღაბარის შვილმა იოსებმა (VI. 65,2—22); ჩემმა ძმისწულმა იაკობმა მიხრა (VI. 67,8—9)...

ასევე ხშირია -მ-ფორმანტიანი მოთხრობითი ხმოვანფუძიანებთან (მეფემ, მევალემ, მამამ...):

უკეთუ მეფემ ორს კაცს ერთი რამ საქონელი უბოძა... (I, 172, 23) ცხრა თუბანი მე და პაპამ საერთოთ უნდა მოგკეთო (VI, 62,19); ყარახანს დედამ ასრე იმორწმა (IV, 196, 34); მის ძმამ ასრე იფიცოს (IV. 202,26); ძამაშვილის შიშითან ბარათი მოსაქმემ ნახოს (IV. 205,3)...

<sup>4</sup> გამოცემულ ტექსტში შეგვხვდა ო ხმოვანიც და ა-ც სახელობითი ბრუნვის ნიშნად ხმოვანფუძიანებთან (სიტყუაი, სიტყუამ, ძამ, სხუამ...), მაგრამ მასალის ხელნაწერებთან შეჯერებისას აღმოჩნდა, რომ ეს სიტყვები ბრუნვის ნიშნის გარეშე იყო წარმოდგენილი (იხ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S 3683 A:271v; 258v; 275r და ა. შ.).

წარმოდგენილი მაგალითებიდან, ვფიქრობთ, კარგად ჩანს, რომ საანალიზო მასალაში გვერდივეერდაა ძველისა და ახალი ქართულის ფორმები (როგორც თანხმომავანნი, ისე ხმომავანნი სახელებთანაც).

შდრ.: ... მღვდელმან მან ის კაცი სასამართლოში მიიყუანოს (I. 185, 11)  
და: მღვდელმა აგარიანი ანუ სხვა უსჯულო კაცი მოკლას... (I. 204, 21);

ან კიდევ:

უკეთუ მოსამართლემან სჯულის კანონით სამართალი ქნას... (I. 168, 1)  
და: მოწამე მოსამართლემ უნდა ვასინჯოს (I. 206, 17)...

ხმომავანნი სახელებთან ბრუნვის ნიშნად -მა სუფიქსიც ვგვხვდება, თუმცა შედარებით იშვიათად (ძირითადად ფრაზის ბოლოს ც ნაწილაკის დართვისას, პაუზის წინა...)

... დისა არ გაყიდოს მოსამართლემან (I. 175, 2); ყოვლისაგან ნახევარი გამოართვას მოსამართლემან და გელმოჭრილს ან კელდაშეგულს. კაცს მისცეს (I. 149, 17); უკეთუ გელმწიფემა ცა არა ბანოს... (I. 173, 30); ... მართო წყებლში გატარებით თავი არ დაიჭირა ამ საქმეში და ამისთვის განვაწესეთ, ჯარიმა (VI. 721, 11—13)...

ძველისა და ახალი ქართულის ფორმათა პარალელურად არსებობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა საკუთარ სახელებში, რამდენადაც ხშირად ვხვდებით როგორც ფუძის სახით წარმოდგენილ, ისე ბრუნვის ნიშნით გაფორმებულ ანთროპონიმებს. შდრ.:

თავთ ბატონმან მეფე სოლომონმან შემოქრიბნა დიდებულნი... (VI. 716, 30), და: რახან ლევან შეიძლოს, ამ ძმით ოდენი აზნაც იყიდოს (VI. 692, 36).

თითქოს სისტემურია თანხმომავანების წარმოდგენა ფუძის სახით, ხოლო ხმომავანებისა — ბრუნვის ნიშნით. მაგ.:

ჩოლაყაშვილმა ქალაქის მოურავმა ფირან მისმა ძმამ შეითარგა ფარსადან ქაიხოსრომ და რევან, სალთუხუციშვილმა ოთარ, რამაზამ, ქაიხოსრომ... იჩილეს (IV. 214, 17—20).

მაგრამ ზოგჯერ ეს წესი ირღვევა:

ფავლენიშვილმა რევანმა ორბელის შვილის კაცები დამავირავა (VIII. 340, 7); რამაზმა დამვირა (VIII. 77, 8); თანისიშვილმა ზურაბმა გვიჩილა (VIII. 91, 30).

პარალელური ფორმები ხშირად ერთსა და იმავე წინადადებაშია წარმოდგენილი:

5 თ. ზურაბიშვილი, მაცხოვრებელი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ქსკ, I, თბილისი, 1972, გვ. 44—57.

ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, ავალიშვილმა ზაალ, ძმამან ჩემმან ქაიხოსროს შვილმან, ჩემმან, ავალ... ციმაკურიძემ ზურაბ, განძიელმან ერასტიმ, განძიელმან ოთარმან... ცარციძემ ბერკელამ, სხირტლაძე ნასყიდამ (VI. 700, 23—31).

გაუფორმებელია ვინმე ნაცვალსახელის ერგატიული ბრუნვის ფორმა (ემთხვევა ნომინატიურს):

უკეთუ ვინმე (=ვინმემ) იჩიგლოს მოსამართლესთან... (I. 175,6); ქალაქში ანუ სხვის ალაგშია რომ მოიბაროს ვინმე (=ვინმემ) რამე... (I. 202,19); უკეთუ თეთრი ვინმე (=ვინმემ) აიღოს და თავდებაი მისცეს, თეთრის პატრონი თავის თეთრს უწინვე თავდებს ვერა სთხოვს (I, 177,3—4); უკეთუ ვინმე (=ვინმემ) კაცს ქროამი გამოართვას და ქროამით თავდებათ დაუდგეს... (I. 176,4—5); უკეთუ ვინმე (=ვინმემ) დასწვას სხვის სახლი ანუ ძნა... ცეცხლში დაიწვას ის კაცი... უკეთუ ვინმე (=ვინმემ) კაცი შეუყენოს და სხვის სახლი დააწვეგინოს... დამწველსა მას თავი მოეჭრას (I. 181,10—13):

მომდევნო ბრუნვებში ბრუნვის ნიშანი ხან გავრცობილი სახით გვხვდება, ხან — გაუვრცობლით:

- დღეს (I. 174, 16) — დღესა (VI. 365,16);
- მღღელს (VI. 98,14) — მღღელსა (I. 185,10);
- მამის (IV. 239,35) — მამისა (I. 178,18);
- საქმის (I. 205,28) — საქმისა (I. 213,23);
- მიზეზით (I. 185,22) — მიზეზითა (I. 155,23—24);
- მოწმით (I. 166,21) — მოწმითა (I. 172,31).

მაგალითების დიდ უმრავლესობაში თითქოს შეინიშნება კანონზომიერება<sup>6</sup>, კერძოდ: სავრცობიანი ბრუნვები გვხვდება ჩვეულებრივ:

ა) და კავშირის წინ:

მათს საჩივარსა და ბარათის შეყრაში... (IV. 207,1); ორჯელ მუშტი ცხვირსა და პირში დაჰკარ (VI. 35,1—2) ... სამართლიანის საქმითა და ერთმანეთის რაზით ასე შევარიგეთ... (IV. 209,28); ... ყოველი მისციემელი კარგის მოწმითა და წიგნით დაიჭერება (I. 172,31)...

ბ) ან/ანუ კავშირის წინ:

მონასტრის მამულსა ანუ მიწასა ნურაგინ დაიპერს (I. 181,21); სახლისა ანუ კედლის საძირკუელი სუსტად არ დაუდგან... (I. 208,5—6); ... ის სამართალი ფერობითა ან მოყურობითა ანუ მტერობით ექნას... (I. 164—165)...

6 თ. ზურაბიშვილი; ემფატიკური -ა ახალ ქართულში: სბიქე, I, თბილისი, 1956, გვ. 224—233; იხ. აგრ. მისციე, მავრცობი ა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ქსკს, I, თბილისი, 1972; ქ. ძოწენიძე, ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში: სბიქე, I, 1956, გვ. 218—223.

გ) ერთგვარ წევრთა ჩამოთვლისას (თავიდანაა აცილებული თანდებულიან ფორმათა განმეორება):

ქანდრის ქ[ე]უსა, კახის უბანსა, ჯვარსა, არბუვსა, გრემსა, აღმატსა... ამათს მიწასა და წყალზედ... შეცილდნენ (VI. 248,6—8);

დ) ფრაზის ბოლოს:

ჩვენ ჩამოვიტანთ მაგ სიმინდსა (VIII. 19,4); ნურავინ დაიფიცავს მოწმობითა (I. 136,15); ... ტოიჲ სეხნია მისის მამულითა, ... ხატიაშვილი გოდერძი მისის მამულითა (VI. 255, 20—21); ... დაიფიცოს მეფის თავი გულითა მხურვალითა (I. 136,25);

ე) ზმნის წინ:

... მოსამართლისა ჯერ-არს, რათა კარგად გასინჯოს (I, 130,24); ჩვენთან საქმე არავისა აქვხო (VI. 48,27); აღგეთამდინ ზევითი ცხეკისა არის და ქვევითი მხარი დურნუკისა არის (IV, 229, 14—15); ამ მიზეზითა არა მჯერა, რომ თქვენი წიგნი მართალი იყოს (VI. 99,9)...

ვ) ნაწევრის წინ:

... ცინისა მის საიდუმლო გაამჟღავნოს (I. 140,11); დღესა მას დიდისა განკითხვისასა... (VI. 724,31)... და ა. შ.

მაგრამ საანალიზო მასალაში გვერდიგვერდ აღმოჩნდა ასეთი ფორმებიც:

შდრ: რამეთუ ყოველი სიტყუა ორისა და სამის მოწმით დაემტკიცოს (I. 166,21) და: ორისა და სამისა მოწამითა დაემტკიცოს ყოველი სიტყუა (I. 169,14).

ან კიდევ:

ერისკაცი მდღელს ვერ განიკითხავს (I. 168,2) და: ... თავისი დანაშაული ყოველი... მდღელსა აღუაროს... (I. 185,10)...

ვითარებით ბრუნვასთან ემფატიკური ხმოვანი, ჩვეულებრივ, არ ჩანს:

იკურთხენო... დიაკუნად ანუ მდღლად (I. 169,29); ... იმათში მონასელიძეც მოაღაპედ სწერია (VI. 106,19); მის განმგესთან საწყინრად ან სასამართლოდ კელი არავის არა აქუს... (I. 164,7); ... იკურთხენ სადმე მამად მთავრად ანუ დიაკუნად, ანუ მდღლად (I. 169,29).

მაგრამ საერცობიანი ვითარებითი აღმოჩნდა -ც ნაწილაკთანაც და კავშირის წინაც:

კიდევ მოწმადაც მოყვა (IV. 247,25); ის კაცი თავდებდაც არ იყოს (I. 177,33); რამდენს სახლათაც არიან, თითო მსახური უნდა იახლოს (VI. 107,1); ამ ჩხუბის დასანგლებლად და დასაშვებლად ისიც თურმე გამობძანდა (IV. 212,12)...

საანალიზო ტექსტებში ნაცვალსახელი ჯერ კიდევ აქტიურად იხმარება ნაწევრის ფუნქციით:

კაცე იგი მემრუშესავით განიკანონოს (I. 152,27); ქრისტიანე იგი შვილი მაშინ დაიკუთრებეს მამასა თვისსა თანა (I. 134, 24—25); მსაჯულმან მან ეს უნდა იცოდეს (I. 129, 26); მსაჯულსა მას... ეშინიან (I. 132,4—6); ეკლესიისა მის მოწესენი (I. 186,5); ქმარმან მისმან მიხეზითა მით აღარ იცოლოს (I. 155,23) და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ ნაწევრიანი და უნაწევრო ფორმები აქაც პარალელურად გვხვდება (შდრ.: მსყიდველმან მან სხვაგან არ უნდა გაყიდოს... I. 136,29—30 და: ... მსყიდველმან თავისი ფასი ქურდისაგან ითხოოს. I. 137,8—10), გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ნაწევრის ხმარების თვალსაზრისით მე-18 საუკუნის I ნახევრის მასალა ძველი ქართულის ფორმებს ანიჭებს უპირატესობას (უფრო ძველი ქართულის ვითარებას გვიჩვენებს), ხოლო რაც უფრო ვუახლოვდებით საუკუნის დასასრულს, ვითარება ახალი ქართულის ფორმათა სასარგებლოდ მეტყველებს.

პარალელური ფორმები დასტურდება სახელთა მრავლობითის წარმოებისასაც. ერთი მხრივ, გვაქვს -ებ-ით ნაწარმოები მრავლობითები (ველები, ოსტატებმა, შვილებს), მეორე მხრივ, -ნარ-თანიანები (ქმანი, მამათა, კაცთა...)

შდრ.: ორს შურს ყიზილბაშნი უზალთუნს ეძახიან, ურუმნი დორანგი თინჯირს ეძახიან (V. 486,9—10); საქართველოს მეფენი... დიდად ამოდლებულნი... ბიანებულან (I. 479,28); შილდელნი... სანეკრესელო კაცნი არიან, ესენი უჩიოდნენ... (VI. 111,35); უფროსნი კაცნი... (VI. 75,28); ..შუაბოლნელთ (=შუაბოლნელებმა) ერთობით... გარდაიქადონ (IV. 212,8); წმიდათა მამათა (=მამებმა) შენდობა მისცეს მისის სწავლისათვის (I. 209,12); მოსამართლეთ (=მოსამართლეებმა) კარგად გასინჯეთ და გამოიძიეთ... (I. 487,32); ღმერთმან ... ხემწიფის დედოფლის ჳირი მისცეს მათ მდაბალს მონათ (=მონებს) ებიფანესა და ფარსადანს (VIII. 16,29); ენისელთ (=ენისლელების) ასის[თავ]ობის წიგნები გვეკონდა (VIII. 405,11); ... მამანო, კათალიკოზნო, ეპისკოპოზნო, მიტრამოლიტნო, წინამძღვარნო, მღრდელუნო... მეფენო, უფლიწულნო, დიდებულნო, თავადნო, აზნაურნო... (I. 532, 13,15).

და გომპარის მუშები არიანო (VIII. 37,35); ჩვენი წიგნები აკლებანი დავეკარგია (VIII. 38,19); ესეები? ყველა დარჩა მაღალაშვილს (IV. 218,33);

7 ესეები ნაცვალსახელი უსულო სივანთა აღმნიშვნელი ჩანს: ესე[ე]ბი (სახლკარი, ბოსელი, საბეღლი, საორენე... — ავტ.) მიგვიცია მაღალაშვილისთინ (IV. 218,22); ესე[ე]ბი (ჩამული, ნასოფლარი, მთა, ბარი... — ავტ.) სულ ყველა მაღალაშვილს სახლხუცეს და მის ძმებს დარჩა (IV. 218,10); ესეები (მომხდარი ამბები — ავტ.) ვავსინჯეთ (IV. 211,33); ..შდრ.: ესენი (ჩამოთვლილია გვარები — ავტ.) დღეს რისაც ჩამულის მქონებელი იყოს... (IV. 208,15)

ჩვენ... ობლები გახლდით (VIII. 317,22); ძმებმა აუყენეს (VIII. 33,8); ეს მოხსენება მდივანბეგებმა გაუგონეს (VIII. 33,17); ამგვარმა ლაპარაკებმა გაიარა და გაგვაშველეს (VI. 34,19); ღმერთი ჩვენს ხემწიფეს და უცხო შვილებს გიღღერძელეს (VIII. 17,4—5); მდივნებს ასე ეუწყოსთ (VIII. 529,9); ... თავისმან ჰძაღმან... მის ძმისწულეებს მოსცეს (IV. 303,33); ..სახლთუხუცესებო, მდივნებო და მოხელე [ე]ბო (VIII. 316,11)...

შეინიშნება, რომ სახელობითი და წოდებითი ნარიან მრავლობითს ანიჭებს უპირატესობას, განსაკუთრებით — შედარებით აღრინდელ ტექსტებში, დანარჩენ ბრუნვებში -ებ-იანის პრიორიტეტი აშკარაა<sup>8</sup>. ეს ტენდენცია, ქართული ენის აგლუტინაციური ბუნების დამადასტურებელი, მკაფიოდაა ასახული სამართლის ძეგლებშიც.

-ებ-იანი და ნარ-თან-იანი მრავლობითის ფორმები ძალიან ხშირად გვხვდება გვერდიგვერდ, ხშირად ერთსა და იმავე წინადადებაშიც (მონაცვლეობას ზოგჯერ სტილური ფუნქცია აქვს):

ყვარელში რომ ენისღელეები არიან, გრემს რომ ენისღელნი არიან და კიაურზე, ამითზე სამართალი უყავით სჯულერის რიგით (VI. 709, 16—18); ...მარნეულელნი იმ დაფიცებულს მიწებს ჩამოსცილებდოდნენ IV.222,16); იორამ სოლდასშვილმა საერთო მიწა იესე მსაჯულის შვილების კაცთა დაანება და დააჩემა (VI. 38,32); იასაულნო, ვადაშინ ნურას სათხოვარს ნურასა სახეთათ (VII. 16,10—11); შდრ. იქვე, იმავე საბუთში (Hd 10369): სურსათის იასაულლებო, რაც იმათ სურსათთ ეწეროს, ...გვიპატივებთა (VII. 16, 17—18).

ძველისა და ახალი ქართულის ფორმათა პარალელური ხმარება და გარდამავალ ფორმათა სიმრავლე შეინიშნება თანდებულებიან ბრუნვებშიც:

**ზედან // ზედა // ზედ(ა) // -ზე** (უკანასკნელი ორი — ყველაზე ხშირად):

**ზედან:** უკეთუ ეინე სარწმუნო კაცი მოვიდეს და წმიდასა სახარებასა ზედან შეფიცოს (I. 154,1—2); და რომელმან იხილოს უსამართლო კაცსა ზედან (I. 131, 22);

**ზედა:** არამედ მართო თავისა სამწყისოსა ზედა უნდა ქონდესო (I. 168, 34); რათა იყოს სახიერი კაცთა ზედა (V. 145,26—27); თუ მისა პირველობა ყოველთა ზედა არს, დიად, დიდი ძრვა იქნება ქრისტიანეთა ზედა (I. 169,1—2); ესრეთვე სამართალი ყოველსა კაცსა ზედა იქნების (I. 177,25);

**-ზედ:** ამ კაცზედ თვალი და [ყ]ური გეჭიროს (VIII. 36,12); ყაყნისა და ოთარის მამულზედ ზაქლ დავითაშვილი მედაგებოდა (VIII. 27,31); ...სახელობით დასწეროს ყველა ერთს ქაღალდზედ (I. 160,14); იასაულზედ ოქმი მიბოძეთ (VIII. 20,29); ... შუაზედ უნდა გაუყო (VI. 51,1—2); ...იმ მამულის ბარობაზედ შელაპარაკებულყვენ (VI. 51,10); ...სამუშაოზედ დაღებოდნენ (VI. 691,36).

<sup>8</sup> გამოწვევის შეადგენს ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი, შემდგომ კი ერთგვარ ფორმულებად (თუ შტამებად) ქცეული ისეთი ფორმები, როგორიცაა: „წმიდათა მამათა“, „დროთა“, „უამთა“...

**ზედა** ცალკე მდგომი თანდებულია და მხოლოდ მიცემითი ბრუნვის გავრცობილ ფორმასთან იხმარება, **-ზედ** თანდებული კი შერწყმულია ბრუნვისნიშანდაკარგულ სახელთან. ზოგჯერ იგი გავრცობილი სახითაც<sup>9</sup> გვხვდება (ფორმოზბრივ ემთხვევა ცალკე მდგომს; მაგრამ შერწყმულია), ჩვეულებრივ — **და, ანუ** კავშირთა წინ, ან — წინადადების (ფრაზის) ბოლოს:

ბოლო უკეთეს აგნი კაცნი არ მობრუნდენ ჩვენს სწავლაზე და და მცნება ჩვენი არ დაიძარბონ (VI. 213,17); ... იმ კაცს გული წუთქდინოს ბატონზე და და ან ბატონს — ყმაზე და (I. 169, 18—19); უკეთეს ამისთანა მამა შეიქნას შეგილზე და ანუ შეილი — მამაზე და (I. 200, 1—2); ... დღეს და დღის იქით ერთმანერთთან სადაო არა აქვსთ რა ამ მამულზე და (VI. 56,11—12).

თუმცა შეიძლება ამ პოზიციაში გაუვრცობელი ფორმაც შეგვხვდეს:

წყალობას ვთხოვთ, რომ ერთი თქმი გვიბოძოთ ვანთის მოურავს ფრიდონზე და (VI. 75, 24—25); ომანსა და მის ძმებს ხელი აღარა აქვსთ ამ ვენახის გამოსავალზე და (VI. 79, 3—4)...

**ზედა** — შერწყმულიცა და ცალკე მდგომიც — ზოგჯერ გვერდიგვერდ გვხვდება:

...არცა პაპსა აქუს წელი კონსტანტინოპოლის პატრიარქზე და არც კონსტანტინოპოლის პატრიარქს — პაპსაზე და, არცა ალექსანდრიელსა ანტიოქისაზე და, არცა ანტიოქიელსა იერუსალიემელსაზე და — ერთმანეთზე და უფროსობა, არამედ თავთავის სამწყსოსზე და — უფლება აქუსთ თვითეულსა (I. 169, 3—7).

**-ზე:** კაცს ხელზე<sup>10</sup> ქალღი უნდა დაადენ (I. 483,10); საგინაშეილები და ჩხიკვთელები ბოსტინს წყალზე სარჩლობდენ (VI. 251, 20—21); ... შემოდგომაზე კი უნდა აიყაროს და ეკლესიის მამულში დასაბლდეს და თავის მამულზე წელი აიღოს (VIII. 51,31); ომანის ოჯახს და ამ სფირიდონის მამასა და ბიძას რომ სასახლეზე დავა ჰქონია... (VI. 54,36); მაჭავარიანი სუფრაზე იჭდა ბატონთანა (VIII. 32,8); თხუთმეტ კოკას ღვინოსა და ზეთზე — ერთი კოკა (I. 150,21); განაჩენი მეზობა ამილახვარზე (VIII. 28,1).

ერთსა და იმავე ტექსტში გვხვდება **-ზე // -ზედ-თანდებულიანი** ფორმები.

შდრ.: ამაზე და სამართლიანის საქმით გაუსწორდეს (VIII. 34,5) და: ამაზე გავასწოროს (VIII. 33,26).

<sup>9</sup> თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბილისი, 1970, გვ. 96.

<sup>10</sup> **-ზე**-თანდებულიანი ფორმაში ბრუნვის ნიშანი დაკარგულია, მაგრამ გვხვდება გამონაკლისებიც: ბატონმა ჩემმა გამგზავნა ერთს ღმრთის მტერს კაცსზე (VI. 248,19); მაგრამ პაპუა თავის მამულზე და სახლში ჭირნახული და დიდად გარვილი კაცი იყო (IV. 223,8).

## შინა // -შიდ // -ში // -შია

**შინა:** ქრისტე ბრძანებს წმიდასა სახარებასა შინა (I. 129,20); ამას წინათ პირველითვე ზეცით საქართველოს მეფედ განკუთვნილისა და აწ სასუფეველთა ცათა შინა სულ ბრწყინვლად მანათობელისა... მეფის... შაჰნავაზის ყამში (IV. 222,6); და კჳალად იტყუის ტიტეს ებისტოლეთა შინა (I. 169,24); ვისაც რომ კაცი წაუიღეს და ეველესიასა შინა შესახვეწრად მივიდეს... (I. 185,1); რაოდენიცა იქმნებიან სოფელსა შინა ანდერძნი უცოდინართა კაცთა... (I. 162,2); რაოდენიცა სჯულის კანონსა შინა სწერია სასარგებლო კაცისათვის (I. 179,5).

**-შიდ:** ... ერთი პარტახი ტაბატაძისული მისი მიწა-ალაგით და გიბოქეთ სისხლშიდ (IV. 540, 14—15); ესენი მსაჯულთ სამართალში შენ მოაყვანიენ (VIII. 38,31); ... ჩემი რაშიდ (=რაში, რატომ...) გიჭირავს... (VI. 250, 31).

საანალიზო ტექსტებში ჩვეულებრივია **-ში-თანდებულებანი** ახალი ქართულის ფორმები:

თუ ხეზე აგზავნოს.. ანუ დიდს ...წყალში შეგზავნოს... ანუ ხიდამ ჩამოვარდეს ან წყალში დაარჩოს, — ამისთანაებზე სისხლის სამართალი იქნას (I. 371, 25—30); შარშან გიორგობის თვეში დავსეტყვდი (VIII. 35,8); ... სამართალში ულაპარაკნით (VI. 48,49); არც საჩვენო სათხოვარში უნდა გართოთ და არც საქვეყნოში (VIII. 35,18); ...ზღვაში... ხომალდი დაიქცეს (I. 143, 14—15); ..ჩვენს სამს სოფელში იყოს (VIII. 20. 27), მამაჩემი ქალაქში ჩამოსულა (VIII. 38,1); მუდამ შფოთში ვართ (VIII. 33, 27)...

**-ში** თანდებული გვხვდება **-შია** სახითაც (-ც-ნაწილაკიან ფორმებში, და, ან/ანუ კავშირთა წინ, ფრაზის ბოლოს...):

უწინდელს განწესებაშიაც ასე წერია... (VI. 721,4); ... ხოვლეშიაც წილი გვიქვს... (VIII. 37, 38); თავდები უნდა მიიყუანოს სამართალშია და მოსამართლემ პარობა დაადებინოს მას (I. 177, 11—12); თუ არ მოხვედით... სამართალშია და ის ოქმი არ მოიტანეთ... (VIII. 48,12); ... ღვანან ტყეშია ან გზაზედა... (I. 202, 32)...

პარალელურად გვხვდება **თანა, -თან(ა)** თანდებულებიც. შდრ.:

ქრისტიანე იგი შვილი მაშინვე დაიკუთვნიდას მამასა თვისსა თანა... (V. 134, 24—25); ... იქორწინოს რჯულიერსა ქმარსა თანა (V. 154, 3—4); მწველებელთა და ურწმუნოთა თანა შეუღლვასა ნურავინ ყოვს (I. 151, 16—17)...

და: რუსთან და წყალთან მარნეულელთ კელი არა აქვს (IV. 222, 27); ბატონთან წარმოვიდენო (IV. 239,6); იმათ სისხლი დიდებულთანაც სდის, თავადთანაცა და აზნაურთანაც (I. 490, 8—9).

**-თვის // -თვინ** თანდებული ნათესაობითი ბრუნვის გავრცობილ ფორმებთანაც დასტურდება და გაუვრცობელთანაც.

შდრ.: იმ ქურდობისათვის ჩაქოლეს (V. 142,9); შანშესათვის მიმიყიდნიაო (VI. 26,35); ჩემის სახლობის სისხლში შესვრისათვის და ელდით

უგონო ქმნისათვის სამართალს ვითხოვო (VI. 34,9); ... ჩემს კაცს, ზაალ მახვილადისათვის მიეცა (VI. 27,8)...

და: .. თავის ბატონისთვის თოფი წაერთმია (VIII. 32,13); იმ წლის თებერვალში პაპასთვის ეთხოვნა ეს თხოთუმანნახევარი (VI. 62,27); მისულა მამარჩემი და ქუთათლისთვის უმსახურია (VIII, 37,31); პაპა შენს სხვისთვის მიუყლია (VI. 18, 19)...

გავრცობილი და გაუვრცობელი ფორმები ხშირად გვერდიგვერდაა:

ავთანდილისათვის კრწანისი... სამოვროდ მიეცა და ზა[ა]ლისთვის შინდისი მიეცათ სამოვრავთ (IV. 219, 21).

=**თვინ** კარიანტი უმეტესად გავრცობილ ფორმასთან გვხვდება.

...ყველა სასლთუბუცისი და იმისის ძმებისათვის მიეყიდნა (IV. 217,35) ცულდაერულის კაცისათვის ექვსის ძროხისა გვაჩინოთ (IV. 212,6); ოთხის კბილის ჩაგდებისათვის და თავის გატეხისათვის ოცდარის ძროხისა გაუჩინეთ (IV. 212,3); მღრღელ-მონაზონის თავის გატეხისა და გალახვისათვის (IV. 211,34); ...დაეშალნათ ერთმანეთისათვის (IV. 211,22); ...თუ ნამორაშვილს პეტრესათვის მიეყიდოს... (IV. 202,14).

შდრ.: ეს მიწა ჩემის მალეით მახვილამის ზაალისთვის მიეყიდნათ (VI. 24, 22—23).

ფუნქციური გამიჯვნა **-თვის -თვინ-თანდებულიანი ფორმებისა** არ ხერხდება. როგორც მაგალითებიდან ჩანს, ეს ფორმები თანაბრად გვხვდება როგორც უბრალო დამატების, ისე გარემოების მნიშვნელობით.

**-გან** თანდებული ძირითადად ნათესაობით ბრუნვაში მართავს სახელს, იშვიათად — მოქმედებითში. შდრ.:

სიმართლისაგან დ-თისა გამოვლენ (I. 134,15); ... მისი პატრონი ეცადოს იმ სახლის დაწვისაგან მოარჩენს (I. 150,6); ჩვენს საწილოს მამულზედ მოკრული მუხათი იყიდა ბაბათასვილისაგან (VI. 19,31—32); ეამთა ვითარებისაგან და ქვეყნის აშლილობისაგან ერთმანეთის კმაგაუცემელნი და პირუცყნელნი დარჩომილყვენ (IV. 209,25); ... ბატონისაგან ბრძანებული ოქში აცხადდეს (VIII. 33,24); ეს განჩინება იაკობისა არის და სანშესაგან კელმოწერით მოცემული (VI. 42,19—20); მისის საქონლისაგან ერთი წილი ... უნდა მისცენ (I. 196, 19—20); ... ამ ასის მარჩილისაგან ორმოცი მარჩილი ჩვენი ვიპატივეთ (VI. 228,13)...

და: უკუეთუ დედის მუცლითგან ბრმა იშვას ვინმე (I. 160,6); ამ ეკლესიის მამული ამიერ დღითგან სერისკაცოდ აღარ შეიქმნეს (VI. 723, 14—15); უკეთუ ვინმე მშობელნი მრავლის ქამითგან სნეული იყვნენ და იწუნენ... (I. 197, 23—24).

**-გან-თანდებულიანი ნათესაობითი მრავალი ფუნქციით გვხვდება** (უბრალო დამატება, ადგილისა და მიზეზის გარემოება...), მაშინ როცა **-გან-თანდებულიანი მოქმედებითის ერთადერთი მნიშვნელობა** გარემოების (ადგილის ან დროის) აღნიშვნა ჩანს. ამ უკანასკნელ ფორ-

მათა იშვიათობა კომპენსირებულია -**დამ** (-**დამე**)-თანდებულიან ფორ-  
მათა სიმრავლით:

მაშუღიღამ კელაღებული ვარ (VIII. 38,9); მაჭავარიანი სუფრიღამ  
აღვა (VIII. 32,8); ამ ჩემგან ჩვენებულის მიწებღიღამ ასის ღღის მიწა შეუ-  
სრულოო (VI. 19, 18—19); ერთი მიჯნა ბუშატის ხევიღამ რომ გზა მოვო, ამ  
გზას ქვემოღან ჩავსვით... ამ მინებს ზემოღან სამართლით მონასტერს  
ღარჩა (VI. 23, 5—7);

...საითკენაც ძველთაგან უღენია, კიღევ იქიღამე უღდა იღინოს (VI. 31, 30);  
უყეთუ... ძალად გამოყენა მონღღმონ ეკლესიიღამე მღღღის მის უღებუ-  
რად (I. 185,15); ახოტის მთიღამე! რაც სამთო გვერგოს, ის სამთო ასე გაი-  
ყონ (IV. 218, 13)...

პარალელურ ფორმებს გვიჩვენებს -**მდინ**, -**მღის**, -**მღისინ**, -**მღი**,  
-**მღე** თანდებულებ. ყველაზე ხშირია -**მღინ**:

...ვღამღინ ნურას სათხოვარს ნურასა სათხოვო (VIII. 16,10); თუ აღ-  
ღღო მამღინ ვერ უღგარიშოვო... (VI. 62,33); ამ ჩემს საუმცროსოსაც ოსი  
სჭამს წრეღანღამღინ (VIII. 556,32); ამ აბანოს დასწვრივ ვანთის ხე-  
ვამღინ... (VI. 22—23); მოგყიღე მე.. შენ... ჩემი მამული აღმოსავლეთ მკრი-  
საყენ მაჭავარიანის მიღღ მამღინ, სამხრეთისაყენ შარამღინ, დასავლეთის  
მკრისაყენ შანშიაშვილის მიღღო მამღინ და ჩრდილოეთის მკრისაყენ ბოჯაძის  
მიღღო მამღინ (VI. 26, 22—27); იქამღინ ორეე მაჭავარიანისა არისო (VI,  
27, 17—18).

-**მღის**: რატომ აქამღის არა გვითხარი რაო (VI. 51,6); გუყარი თაეიღამ და-  
სასრულამღის წაევითხეთ (VI. 106,16); სიკვდილამღის არ დაიჭერება  
მათი მიცემა (I. 173, 11—12); ...სამართლამღის ის კაცი გაუშვას (VIII,  
30,1); მაშული სამს წლამღის სასეფოდ დაეჭიროს (I. 405,9)...

-**მღისინ**: ამის გადასწვრივ ბუშატამღისინ ჩვენს მამასა და პაპას ასე  
დაუფიცნია (VI. 22—23); თქვენს მობრძანებამღისინ ხენას დაეხსნას (VIII.  
523,24); როგორც აქამღისინ სულხანისა იყო გიროდ... (VIII. 276,26)...

-**მღი**: ...იმის ქვეით წყარომღი..., ამეებს შუა წყლამღი ავღეთამღი  
რაც ტყე არის... (IV. 218,33); იქიღამ გამთელებამღი უღდა იანგარისოს (I.148,  
18); ...მარნის კედელი შეიტანს ზემო მარნის მოღღამღი (IV. 235,18); აე-  
თანდიღანთ ვენახიღამ ამირაღანთ მიწამღი... ერგო (IV. 235, 26—28).

-**მღე**: აქამღე ამისთვის ვერ გავბეღე (VIII. 36,32)<sup>12</sup>.

11 -**დამ** (-**დამე**)-თანდებულიანი ფორმები ძირითადად გარემოების მნიშვნე-  
ლობით გვხვდება, მაგრამ, როგორც ჩანს, არც უბრალო დამატების გამოხატვაა  
მისთვის შეუძლებელი (ნაცვლის სარგო მოურავიღამ ერგების, რაც წესია,—  
VI. 707,36)...

12 საანალიზო მაგალითებში არსებული ყველა ფორმა გარემოების (ღროის ან  
აღვლის) შინაარსის მქონეა; რაიმე კანონზომიერების დადგენა, დიფერენცირება გა-  
რჩანათა მიხედვით ვერ მოხერხდა. შდრ.: მე მისი მაგეირო... უღდა მომცემოდა..  
აქამღინ (-ამ დრომღე) მეუბნა— მოგცემო (VIII. გვ. 33, 20) და; მაჭავარიანისა  
აქამღინ (=ამ ადგლამღე) არისო (VI. 27,3)...

სამართლის ძეგლებში იშვიათია ძველი ქართულსაათვის ნიშან-  
დობლივი თვინიერ ფორმა (სამართალში ქრთამის აღება არა ჯერ არს,  
თვინიერ მისსა, რომელიცა განწყვებულ არს მეფეთაგან: I. 175,7);  
უფრო ქარბადაა სინონიმური მნიშვნელობის გარდა // გარდაის და  
მეტის გამოყენების შემთხვევები:

ამას გარდაის რაც სახბოთ მთა არის, რაც გამოსავალი არის, როგორც  
მამული ეჭიროს, სარგოსაც ისრე გაიყოფდენ (IV. 218,35); ამას გარდა ბერიკა-  
შვილის ნავენაქობს დაობდენ (VI. 41,31); მოურავის სახლს გარდა ციციანთ  
ყველამ კელი მოუწერეს ამ როქიაშვილს... (VI. 107, 20—21); ... რაც ნაშოგნი  
ქონდათ, გაე[ვ]რთებინათ, ძველს სისხლსა და ვალს გარდა (IV. 215,8); ... ერთ-  
მანერთთან ძმობის მეტი კელი არა აქვს (IV. 218,14); ამასთან არა დარჩა რა...  
სიყვარულისა და მეგობრობას მეტი (VI. 42, 12—13);... ერთმანეთთან კელი აღარა  
აქეთ რა, ძმობისა და მოყვრობის მეტი (IV. 209,30). შდრ... მეფემ რომ სამარ-  
თალი ქნას, მას ვეღარავინ მოშლის... თვინიერ დმერთის მეტი (IV. 340,36).

აქ გვერდიგვერდაა ძველი და ახალი ფორმა, რაც ერთგვარ ტავ-  
ტოლოგიად შეიძლება ჩაითვალოს.

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებასთან დაკავშირებით აღსანიშ-  
ნავია პრეპოზიციურ და პოსტპოზიციურ ფორმათა პარალელური  
ხმარება (პრეპოზიციის აშკარა უპირატესობით):

მისმა ცოლმა უნდა მოუცადოს (I. 153,29); თქვენმა შვილმაც  
იმედი ვეიბოძა (VIII. 24,4); კარდანა ხელმა კაცმა დამოხსნა და მამიყუ-  
ნა (VIII. 35,8); ჩვენს შემოთრიგებულს ლეკს... ნურას აწყენენ (VI. 731,29);  
ამ მოხუცებულს ბერს ჰკითხეთ (VIII. 38,13); ბედნიერის კელ-  
მწიფის ძისა... (VIII. 15,6); [მ]კვდრის კაცის საქონელა... (VI. 16,29);  
ამთ ვკითხეთ დიდის ფიცით (VI. 25,5); ახალის დუქნები დამ (VI.  
13,6)...

შდრ.: ბატონმა ჩემმა... გამაგზავნა (VI. 248,19); ბატონს თქვენ-  
თან (=თქვენს ბატონთან) მოდიო, ამოვიდეს, მამულები ვაყიყოთ (VI. 36,1—2);  
...ის წყალობის წიგნი მოიტანა, რომელიც სანატრელს პაპას ჩვენს უბოძებია  
(VI. 126,3—4); დადიცოს... გულითა მხურვალითა (V. 186,25).

პარალელურად გვხვდება ბრუნვაში შეთანხმებისა და შეუთან-  
ხმებლობის შემთხვევები.

შდრ.: ორის წლის კოდისპურსა მთხოვეს (VIII. 18,2);  
და: ორი წლის კულუხი და კოდისპური ვერ მომიცია (VIII. 34,19);  
ან კიდევ: აბაშიძემ სვიმონმა ჩემს ძმას თავის სახლში ავთ ქცევა  
შესწამა (VI. 309, 14—15);

და: აბაშიძე სვიმონმა მიუგო (VI. 309,22).

შდრ. აგრეთვე: ორს დღეს დადგებოდნენ (VI. 722, 7—8).

და: სამ წელიწადს გოშპარ ერენის ხანად გხლებით (VIII. 37,17).

პარალელურ ფორმებს გვიჩვენებს ხმოვანფუძიან პრეპოზი-  
ციურ მსაზღვრელზე დაკვირვებაც: მას ჯერ კიდევ შენარჩუნებული

აქვს ბრუნვის ნიშნები არა მხოლოდ ერთგვარ ფორმულებად ქცეულ სიტყვათშეხამებებში (პაპუნას წმინდის სამების ხატი ჩამოესვენებინა: IV. 222,12; ჩვენ გორისჯერის წმინდის გიორგის კარს გახლავართ: VIII. 29,1; უნდა მისცემოდა წმიდასა მონასტერსა: VI. 22.17)... არა-მედ — სხვაგანაც (ჩხუბი რას ლაგს მოსვლიათ; VI. 35,28; მეფეს ერეკლეს პაპაჩემი კარავში ხლებია: VIII, 37,11; ღმერთი თქვენს უსასიოდლოს შვილებს გიდღეგრძელებს: VIII. 19—27)... თუმცა უკვე საგრძნობია შეთანხმების მოშლა (მესამე დღეს მოვიდოდნენ: VI. 722, 7—8; მესანთლე გევურქას დუქანი: VI. 13, 16)...

მიუხედავად იმისა, რომ ნარ-თანთან მრავლობითში შეთანხმების წესი ძირითადად დაცულია (... რომელნიც მოხუცებულნი კაცნი იყვნენ: VI. 22,33; მრავალნი დაგრდომილნი აღემართნენ: VIII. 38,8; ასე შორეულნი განაყოფნი ვართ: VIII. 37,24; სამნიც ძმანი სასიკვდილოდ უკან გამომიდგნენ: VI. 34,6; იმათ... შეკრებულნი ერნი ახლავან: I. 214,7...), ზოგჯერ ვხვდებით მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვში შეუთანხმებლობის შემთხვევებსაც (ნურას წაიღებენ... ნურც მისი ნათესავნი: I. 186,15; ჩვენ ორნიც უძღური ბერიკაცნი ვართ: VIII. 28,28; ვის აგნებთ, თქვენ ავო კაცნო: VI. 36.12; ... იქნა ამ სამ ძმათ წილი...: IV. 225,29; შდრ. იქვე: გერგო თქვენ, სამთ ძმათ, თქვენ წილად...: IV. 225,17).

ქართული სამართლის ძეგლების ენაში ესევეთარის პარალელურად გვხვდება ასეთი. შდრ. ერთი მხრივ:

ღარიბს კაცს ყუანდეს ესევეთარი შვილი (I. 195,17); ესევეთარი კაცი... უმკუიდრო იქმნას (I. 197,18); ...ესევეთარისა მეტყუელნი... (I. 210,6); ამის და ესევეთართა მოქმედნი... (I. 210,7); ... სხვანი ესევეთარნი ცელსან[ნი] (I. 207,14)...

და, მეორე მხრივ:

იმ ოსტატმა... მოურავთან ერთი ასეთი კაცი არ მოიყვანოს (I. 207,22); თუ ასეთი ჯარი არის, სასქარდა და მინაში იმ ჯარში არ არიან (VI. 722,2 2—3); იმ სასახლის ტალი ალავი ასეთს ალავს უნდა მოუხაზოს... და მისცეს (VI. 50, 12—13); თუ ბეჯან მღვიანზევი ასეთს წივნს მოიტანს (VI, 59, 10—11); ...ასეთის ზევიდამ ამომიზიდნის, რომ ძნელათ შეიძლებოდა იქილამ ამოტანა (VIII. 364,9)...

მრავალფეროვანადაა წარმოდგენილი არარა ნაცვალსახელის ვარიანტები. მათგან უფრო ხშირად ზმნით გათიშული არა... რა გვხვდება:

ამათთან არა დარჩა რა (VI. 42,11—12); ამაში მოსაშლელი და დასარღვეველი არა იყო რა (VI. 28,35—36); ... წყალთან საქმე არა აქვსთ რა (IV. 222,30); ლაპარაკი და დავა სხვა არა გამოგონია რა (VI. 25,32—33); უსამართლო არა გვიქნია რა (IV. 216,14)...

არის სხვა ვარიანტებიც:

უკეთუ სიპართლე ქნას, დასწყევლოს ვინმე, არა რა არს (I. 132,9); სხვას არას რას აწყენდეს უსამართლოდ (I. 213,25); უკეთუ იმ ყმათ თვისის ბატონის უდასტუროდ ვალი აიღოს, მისი ბატონი არას მიაცემს (I. 171,3)...

საანალიზო მასალაში ხშირად ვხვდებით ვინცავენ ფორმას:

ვინცავენ სამეფოს საპყრობილის უფროსი იყოს (I. 215,31); და პეტრეს გარდა ვინცავენ სხვათ იცოდეთ რამე... (VIII. 31,4); ვინცავენ მოპარული იყიდოს რამე (I. 202,29); ...ვინცავენ ამ არზის ბატონების მოსილნი ხართ... (VIII. 25,5)...

ამავე მნიშვნელობით ვხვდება მარტივი ვინც, აგრეთვე — რომელიც (რომელმანცა, რომელმაც...):

ვინც ის წმალი დააღვიანა (I. 211,30); ვინც ნახა... (I. 205,5); ღამით ქურდი, რომელიც ქალაქს გარეთ მოიპარავს რასმე (I. 201,26); რომელმანცა ქმნა რამე (I. 205,4); (შდრ.: ვინცავენ ქმნას მისნობა: I. 210,28); რომელმაც კაცმა მოსამართლეს მოუთხრას (I. 215,13); (შდრ.: ვინცავენ კაცმა ამგვარი წმალი მისცეს ვისმე... I. 211, 16—17).

პარალელურადაა წარმოდგენილი რაოდენი(ც) და რამდენი (< რავდენი < რაოდენი).

შდრ.: რაოდენიცა კუირა დამდგარიცოს მუშაობისა (I. 142,1); რაოდენიცა მისნი განმზრახნი იყუნენ (I. 146,6).. და: სად რამდენი მამული ქონდა იმ საკომოსი (VI. 249,25); თუ რამდენი დღე კლებია... (I. 148,19).

-ც-ნაწილაკიან მიმართებით ნაცვალსახელთა გვერდით ვხვდებით უამნაწილაკო ფორმებსაც.

შდრ.: ... ესრეთ უყონ, რომელიცა ზემოთ წერილ არს (I. 199,4). და იქვე: ზოლო ამას ვძანებთ ყრმისა მის ნათესავიათვის, რომელიც (=რომელიც) ტყუე არს (I. 199, 6—7).

ახალ ფორმათა უბირატესობა ამ შემთხვევაში ექვს არ იწვევს. ასევე აშკარაა ისიც, რომ რიცხვით სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული ვითარებაც ახალი ქართულის სასარგებლოდ შეტყვევლებს:

ოთხმოცდათექვსმეტი თუმანი, ... ორისავე ერთად ჯამი ორასოთხმოცდარვა თუმანი... (VI. 38,1—3); ... მეფის ვახტანგის წიგნი ოცდარვას რიცხვი... სამასოთხმოცდაოთხს თუმანს უჩენს... იქნება ასოთხმოცდათორმეტი თუმანი (VI. 37, 31—34); ამ ორმოცს წელიწადში ამათი მოდვე არავინ ყოფილა (VIII. 29,28); ამისი მესამედი სამართალმა განწესებინა მებრ ამატივა (VI. 259,16)...

მ გრამ ამათ გვერდით ვხვდებით ძველქართულ ფორმებსაც როგორც რაოდენობით, ისე რიცხვით და წილობით რიცხვით სახელთა წარმოებისას:

ათორმეტე 13 მოციქულთა... თავდებობითა და მინდობითა (IV. 220,1) აღიწერა... ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოთხმეტეცა (VI. 724, 33—34); სამოციქულო ბრძანება (I. 212,6); სამოციქულო ათხუთმეტე კანონი (I. 166,29); მეათორმეტე წილი (I. 194,32); მეათორმეტე დი წილი (I. 194,29).

შდრ. ავრთვე: ნაოთხალი (საერთოდამ ნაოთხალი წილი ხედებოდათ: VI. 53, 3; ის ოთხათ უნდა გაიყოს და ნაოთხალი სფირიდონს და მისს ძმებს მიეცეთ: VI. 53,19)...

სიტყვაწარმოების საშუალებათა თვალსაზრისით მასალა ძალზე მრავალფეროვანია: გვხვდება თითქმის ყველა მაწარმოებელი, რაც კი დასტურდება ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელ მანძილზე, მაგრამ სიტყვაწარმოების ახალ საშუალებათა სიმრავლე ამკარაა. აქაც გვაქვს პარალელური წარმოების ნიმუშები (მაგ., ვალ ძირთან):

### მე-ვალ-ე და მო-ვალ-ე.

როგორც ცნობილია<sup>14</sup>, მევალე-დ ეწოდებოდა ვალად ფულის გამცემი, ხოლო მოვალე-დ — ვალის ამღები, ზოგჯერ — ფულის გამცემიც. ჩვენი საანალიზო მასალის მიხედვითაც მევალე ვალის სესხად მიმცემია (უკეთუ არა ქონდესთ რა, რომ გაყიდოს და მევალეს მისცეს... I. 177, 23—24; მისნი მოზობელნი მევალემ დაიჭიროს: I. 197,23; უკეთუ მევალემან ვალისათვის ძალი ვისმე დაატანოს და მისი მამული, სახლი ანუ მიწა ან სხვა რამე [გამოართვას]... I. 137, 18—20...), ხოლო მოვალე — ვალის ამღები (უკეთუ თეთრის გამოართმევა ვერ შეიძლოს, მაშინ თავდებისაგან უნდა ითხოვოს, უკეთუ მოვალე და თავდები არსად წასულან და იქივ არიან: I. 177, 8—10 [მევალემ] თავისი მოვალე სამართალში უნდა მიიყვანოს: I. 177, 5—6).

ამ უკანასკნელ ფორმას (მოვალე), როგორც ჩანს, მევალის (ანუ ფულის მიმცემის) მნიშვნელობაც ჰქონია, რასაც ლექსიკონის ჩვენებაც გვიდასტურებს. სხვაგვარად ვერ აიხსნება მოვალის ნაცვლად მევალე ფორმის არსებობა A და B რედაქციებში<sup>15</sup>.

მო — ე, მე — ე წარმოებასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ ლექსიკურად საინტერესო ფორმებს: მიძღვნე (ქვეყანამ იცის — ჩემი მე-

13 თ ზედმეტადაა ნახმარი სხვა მაგალითებშიც: ... მეოხებითა ათორმეტეტის მოწაფის, მოციქულთა პეტრე და პავლესითა (IV. 315, 16); ... ზეცის ძალითა და ანველოზთა ოხითა და მეოხებ[ითა] ათორმეტეტის მოწაფის... (IV. 296, 7)... შდრ.: თორმეტე აზნურშიელი და თორმეტე გლეხი კაცი ასე შეაფიცოს (IV. 415—416).

14 იხ. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1984, გვ. 687, 792.

15 იხ. ქსდ, ტ. I, გვ. 177, სქოლიო.

ძღვნი უბრალოთ დამიჭირეს, გამიცარცვეს... VI. 248, 13—14), მე-  
ძალუმე (უკეთუ იყოს ვეფხი, რამეთუ არს ავი და მეძალუმე: I.  
132, 27—28), მემრავლე (ერთი ღმრთის მტერი მემრავლე სოფელში  
დაიარებოდა, ეშმაკობას ლაპარაკობდა და ყოველს კაცს ეშმაკისკენ  
მიაჭყევდა: VI. 248, 2—3), მოახაბიე (იმასთან ვინცა ვინცა მოახაბ[ი]ეთ-  
ყოფილიყონ სხვა კაცი: I. 149,31), მოყადალე (რადგან ბირთველ ჩვე-  
ნი მოყადალე იყო, მანუჩარ არ უნდა შესარჩლებოდა: IV. 302,2)...

ასევე საინტერესოა ფორმა მქონიერე<sup>16</sup> (...მისი საქონელი სამე-  
ფოდ წაიღონ და ის შორს გაავდონ, თუ მქონიერე იყოს: I. 210, 30—  
31) და ა. შ.

ხშირია პარალელური ფორმები რთულ სიტყვათა წარმოებისას.  
ასეთია, მაგალითად, კომპოზიტი დედ-მამა და მამა-დედა<sup>17</sup>. შდრ.:

მოსამართლემ დაჭერიოს დედ-მამა იმ ქალისა (I. 144, 31); უკეთუ  
დედ-მამამა ქალისამან თვისსა ქალსა... ზითევი მისცენ და მისი ქრმის შერთვა-  
მოინდომონ (I. 197, 31); რომელნიცა შვილნი ლანძღავენ დედ-მამასა თვის-  
სა... (I, 141,21)...

და: იმ ქალის მამა-დედათა მოსამართლესთან მისულა... არა მოინდომონ  
(I, 144, 29—30).

თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ქართული სამართლის ძეგლებში  
კომპოზიტად ქცევის პროცესი სიტყვებისა: მამაჩემი, დედაჩემი, პა-  
პაჩემი, პაპაშენი, დედაშენი, მამამისი...

მამაჩემი რომ დაბადებულა... (VIII. 37, 10); (შდრ.: გოშპარასათვის შვი-  
ლის ყოლა. მამის ჩემის შობა, უხარბია: VIII. 37,12; მამას ჩემს ელიზ-  
ბარს... დავითის წილი ყმა და მიმული... დარჩა: VI. 386, 7—8); ამდენი ჩვენ  
ოთხ ძმისთვის მამაშენს გარდაუხდევინებოთ (VI. 254, 5—6); სანატრელმა  
მამათქვენმა ერთი წიგნი ჩვენ გვიბოძა (VI. 347, 1—2); არც დედაშენი  
გამელახოს (IV. 413,23); ... დედაჩვენსა მივეციო სამარხი გარეთ უბნის  
სახლები (IV. 330,31); (შდრ.: მე და ჩემი სახლიკაცი... ვჩიოდით დედის ჩემის  
ნამზითეს ბიჟა და გოგოზე... VIII. 92,25); პაპაშენმა ამის ბიძა ვაყიდათ  
(IV. 596,19); უკეთუ მამამისმა ის ანდერძი არ მოიგონა (I. 161,19); (შდრ.:  
... იმას უნდა დაუმგვიდროს მამამან მისმან... I. 195,5)...

როგორც ჩანს, უკვე გაკომპოზიტებულია მეორე პირის კუთვნი-  
ლებითი ნაცვალსახელის შემცველი ფორმები (მამაშენი, დედაშენი,

16 შდრ. (მექონი >) არამექონი: გარნა მან, ცხენებულმან შიტროპო-  
ლიტმან, არამექონმან არცალარა უმცირესისა ჩემ ზედა კელმწიფებისამან, ვი-  
თარი ჰპოვა სამართალი... VI. 407, 21—26 (ალექსი პეტრევის რეპორტი საქარ-  
თველოს მთავარმართებლისადმი, 1810 წ. 28. II).

17 არ გვგვდება არც დედ-მამა და არც მამ-დედა... ძალიან ხშირია  
დედ-მამა, ხოლო მამ-დედა უპირატესად მრავლობითის ფორმებში დავა-  
დასტურეთ.

პაპაშენი), პირველი და მესამე პირის კუთვნილებით ნაცვალსახელთა შემცველნი კი პარალელურ ვარიანტებს წარმოგვიდგენენ.

გაკომპოზიტების პროცესი არ არის დასრულებული ისეთ მსახ-  
ზვრელ-სახლვრულლებშიც, როგორებიცაა **ერისკაცი**, **ცილისწამება**  
**საკვირველმოქმედი**... რომლებიც ხელნაწერებში<sup>18</sup> სხვადასხვა დაწე-  
რილობით გვხვდება. შდრ., მაგალითად, **ერის კაცი** (96 v) და **ერის-  
კაცი** (იქვე, 96 v).

ასევე სხვადასხვაგვარადაა დაწერილი ქართული სამართლის ძეგ-  
ლებში:

**სახლიკაცი** (შდრ.: **სახლიკაცებს** თავ-თავის წილს ნუ დააკლებს:  
VI. 704, 8—9; რომელსაც **სახლიკაცს** საუფლისწულო სოფლის გლე-  
ხი ესახლოს: VI. 704, 25—26; თქვენი გაყრილის **სახლისკაცის** — ასი-  
ტაშვილის ავთანდილის ყმანი ვართო: VI. 48, 30—31; თუ წაადგნენ  
თუშმალიშვილსა ორი **სახლისკაცი** და ასრე დაიფიცონ... IV. 221,  
22... და: მისმა **სახლის კაცებმა** უარყონ: I. 201,6; მის **სახლის კაცს**  
აპატივებდა: I. 191,13; ხუთთავ **სახლის კაცებს** ეს პირობა დავვიდე-  
ბია: IV. 197,20).

**ზედსიძე** (შდრ.: ის კაცი **ზედსიძედ** ჰყვანდა: VIII. 40,6 და:  
გლურჯიძის **ზედ სიძე** იყო: VIII. 37,23).

**ცილისწამება** (შდრ.: უკეთუ აზატნაქმარმა კაცმა თავის ბატონის  
**ცილისწამებით** ავი რამ თქვას: I. 171, 34; შენ ასრე შემამფიცე **ცი-  
ლისწამებით** არა მთხოვდე: I. 187, 10, და: უკეთუ **ცილის წამებით**  
დააბიზლოს ვინმე მღდელი... I. 168, 21—22; უკეთუ ხედვიდეს ვისმე  
ძმასა ქრისტიანესა **ცილის წამებით** დაბიზლებულსა... I, 175, 17) და  
სსგ.

ძველი და ახალი ქართულის ფორმათა პარალელური ხმარების  
თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ვითარებას წარმოგვი-  
დგენს ზმნათა ჩვენება. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთს:

#### არს // არის

წესი არა არს (I. 214,31); დანაშაული იგი არს (I. 206,7); არზი, რომელ-  
შიაც ასე მოხსენებულ არს (VI. 346,18); შესმენა მისი შეწყნარებულ არა არს  
(I. 166,17); რამეთუ ბილწ არს წინაშე უფლისა... (I. 111,15)...

შდრ.: ეს გოგის ყმა არის (VI. 345,5); რვა მინალთუნი არის VI. 258,35);  
ჩვენი ბძანება არის, მაცაშვილო გოშპარ! (VIII. 236,6); ზარღიაშვილი ჩემი ყმა  
არის (VIII. 178,9); ბეითალმანი თქვენი ყმისა არის (VIII. 50,8); ... არა გკოდ-  
ნიათ, ჩვენი მამული არის თუ არა (VIII. 147,19); იგი გინება არა არის (I.  
147, 10—11)...

მაგალითების შეფარდება აშკარად ახალი ფორმის სასარგებლოდ  
მეტყველებს.

<sup>18</sup> იხ. ხელნაწერთა ინსტიტ. S 3683 A.

საყურადღებოდ გვიჩვენება ტექსტში დადასტურებული ფორმა **გვასწავებს** (ესრეთ **გვასწავებს** ჩვენ: I. 213,10), რამდენადაც საანალიზო მასალაში გვხვდება ფორმა **ასწავლის** (**ასწავლის** ყოველთა ვარსკვლავთა: I. 209,14), რომელსაც, ბუნებრივია, ობიექტურ წყობაში **გვასწავლის** უნდა მოეცა...

პარალელურ ფორმათა სიმრავლე განსაკუთრებით მყოფადის მწკრივში შეინიშნება:

**მოიშლება** (ის აღარ **მოიშლება**: I. 168,27) — **მოიშლების** (ის აღარ **მოიშლების**: I. 168, 29);

**დაიჭერება** (თუ ჩემს ვაიმე ანდერძს, **დაიჭერება**: I. 162,5) — **დაიჭერების** (არცა ერთისა ქრისტიანისა მოწმობასა არსა **დაიჭერების**: I. 166,31);

**ირწმუნება** (არც იმისთანა კაცის მთხრობლობა **ირწმუნება**, რომელიც ლაშქარს წავიდეს და გამოქცეული მოვიდეს: I. 205, 12) — **ირწმუნების** (არამედ იმისთანას კაცისა **ირწმუნების**, რომელიცა ღირსი სარწმუნოებისა იყოს კაცი იგი: I. 205,14);

**გარდაჯდება** (უკეთუ... სხვის გზით მოიტაცა ციციხლი და შევიდა მეზობლის ყანასა და დაიწვა, მისთვის არა **გარდაჯდება** რა: I. 181, 3—4) — **გარდაჯდების** (... რომელიც დააშავებს, იმას **გარდაჯდების** და არა სხვასა: I. 214,30) და ა. შ.

პარალელურ ფორმებს გვიჩვენებს **გამორთმევა** ზმნის მყოფადი. ძირითადია **გამოართვამს**:

უკეთუ გაყიდოს რამე, თუ უფროსი ყავს, ის **გამოართვამს**, თუ არადა, თვითნვე **გამოართვამს** თავის გასყიდულსა (I. 135, 22—23); თუ მისი სხვას **შართებს**, თავისი ბატონი **გამოართვამს** (I. 171,3). უკეთუ თეთრის ამღებო წავიდა საღმე, თავლებს ვერას **გამოართვამს** (I. 177, 11)...

**შდრ.: გამოართომს** (ვა ო: **გამოართვამს გამოართომს**):

ნასყიდი ყმა თავის ბატონს რომ კარგადაც აამებდეს და თავისი საქონელი სხვას მიიბაროს, მისი ბატონი **გამოართომს** მის საქონელსა, როდისაც უნდა (I. 201,11); ... ხუთს წელიწადს უკან ვეღარა სთხოვს, ვეღარც **გამოართომს** (I. 192,5)...

**და: გამოართმევს.**

იმ საქონლის ბატონს იმ კაცის სახლში კელი არა აქუს, ვერცა რას **გამოართმევს** (I. 203,31).

ეს ზმნა პარალელურ ფორმებს გვიჩვენებს II კავშირებითის წარმოების დროსაც. შდრ.: **გამოართვას** (თავისი საქონელიც **გამოართვას**: I. 207,3; ... შეუბრუნოს გამამცემსა და **გამოართვას** იგი, რაც მიეცეს ფასი: I. 236,15) და: **გამოართოს** (რასაც ხანს ქონდეს, ის

ქირა გამართოს... I. 207,9; თუ რამ ველფასი აეღოს, ყუელას ნაშენებისა გამართოს: I. 207, 34).

შდრ. აგრეთვე, მრავლობითი რიცხვის ფორმები: გამართვან (ის საქონელი უნდა დააფასონ და მისი ფასიც უნდა გამართვან და მისცენ პატრონსა: I. 207,2; ... მის მავიერად იმ კაცს, რაც ჰქონდეს, სამეფოდ გამართვან და იგი ექსორია ყონ: I. 212,5; ... იმათ ბაჟი უნდა გამართვან: I. 191, 28—29) და: გამართონ (მის სახლის კაცს აპატიეებდა, ქალის ნათესავს კი არა — მას ეგრეთვე გამართონ: I. 191, 13—14).

საანალიზო მასალაში ჩვეულებრივი, გაბატონებული ფორმებია: **ლაპარაკობდენ, მოწმობდენ, მოუქდენ...**

ორი მოწამენი რომ ერთმანეთზედ ქიშად ლაპარაკობდენ და მოწმობდენ, მოსამართლემ კარგად გასინჯოს (I. 206, 1—2); ... ვისცა იპოვებდენ დიდსა დანაშაულსა შინა კაცსა, მაშინვე ბრძანებდენ, რომ მოუქდესო (I. 212,19); ამაში ზემოხსენებულნიც სიტყვით შეჰყოლოდენ (IV. 211, 21); მათი შეილნი... სოფლებს მიწებს ეცილებოდენ (IV. 315,5); კიდევ ავათ მოპყრობას მიპირებდენ (VIII. 226,31); ეხლაც იმ რიგით გაუტრივებდენ (IV. 320,35)...

მაგრამ ხშირად გვხვდება -**ენ** დაბოლოებაც:

ვინემდინ მისცემდნენ... ვინემ ამ თეთრს მისცემდნენ, ეს კაცი გირაოთ... უნდა ეჭიროს (VI. 65,8—9); ბეცია და ხატიაშვილი ვაბრიელ მოვიდნენ (VI. 75,32); ეჭირება, რომ მოწმობა ქონდეს სამართლიან როგორც იცოდნენ (VIII. 228,26); ... ეკლესიის ყმანი იყვნენ და დაობდნენ (VI. 112,20).

საანალიზო მასალაში საკმაოდაა ბრძანებითის ფორმები:

წყევლა მისი გუყავნ (I. 132,11); ვანათავისუფლენ იგი (I. 142,33); ... მოსკეთ ვეგ, ვითარ ბოროტი თქუნ შორის, ... ნეშტთა მათ, რომელ დაზთენ, ეშინოდინ (I. 113,13); ვანვედინ ბრძოლისავან და მიიქეციონ სახელ თვისად (I. 113, 21—22); წარვედინ (I. 114,13); ... ნუცა შეუტრაცხ ჰყოფნ პირმშობესა მისსა (I. 115,7); ნუ შეეწირვინ ტაძრად უფლისა; ძაღლით ნასყიდვი და სიძვის სასყიდლი ნუ შეეწირე[ი]დ ტაძრად უფლისა (I. 113, 21—22)...

შდრ.: აქ მოდიო, მიმოწმეო (I. 168, 2—3); მოდიოთ, ნახეთ სიკრუისა მსაჯული (I. 133,29); ცეცხლმა შეესჭამოს სახლის საფუძველი მისი, იგი იყოს უპატიოდ! (I. 134, 13—14); მიდიოთ და ამისი საქმე გაშოიძიეთ და სამართლით... მოიქეციოთ (IV. 360, 20); ეს კაცი შენ ზებრალეზოდეს, ნურც ხარჯში და გამოსაღებში გარეეთ, VIII. 131,7).

III სერიის მწკრივთაგან დავასახელებთ ახალი წარმოების I თურმეობითს: **გაუთარხნებია, გაუგდია, გაღებულა, მოუპარავს...**

... თუ სამკუიდროთ გაუთარხნებია (V. 191,12); ამ ყოფაში ზაზა სოლოლაშვილის სახლობა თავეთის კოშკის კარზედ მდგარა და იქილამ უყურებია. შეშფოთებული გამოქრილა და თავის ქმართან მისულა. ლეჩაგი თავისის ქმრის სისხლით შესერია, გაუშიშველებია და თავისი ქმარი წაუყვანია (VI. 36, 22—25); ... თოფი მაშინ აუღია, ... არც ჩახმაზი დაუკეშინებია, არც ჩახმაზისთვის კელი მოუკიდნია, მაშინვე კელში მისწვდომიან, თავი დაუწებებია, გამოურთმევიანთ (VI. 39, 4—8); ... რაც ერგებოდა, აგვედებინებია (IV. 308,26); ... წყალობა გვიქმნია, გვიბოძებია (VIII. 33,35); ჩემთვის მიმუშავნია (VIII. 20, 25)...

ძველი წარმოება (ტექსტის ხასიათით შეპირობებული) ძალზე იქვეათია:

ესრეთ წმიდათა შამათაგან გვისწავიეს (I. 191,12); ეს.. შეწირულობის წიგნი და სიგელი დაგვიდვიეს, განგვიახლებიეს და ყოვლითურთ დაგვიმტკიცებიეს (VI. 723, 13—14); შეგვიპყრიეს იგი ანაფორის სახელით, გიწყიეს განგდება მისი საყურთხველით და ვითქვამსთა (VI. 411, 32).

პარალელურ ფორმებს გვიჩვენებს მიცემა ზმნის I თურმეობითი.

შდრ.: ამისათვის რომე შამას მიუცემია (I. 194,19); მოგვიცემია საჯალჭე... (VI. 99, 35);

და: ამ ათის თუმნიდამ ხუთი თუმანი ნიკოლოზს მიუცია თავისის სარგებლით გიორგი ციციშვილისათვის (VI. 65,16); ... იესე მსაჯულის შვილის ზაზასათვის მიუციათ (VI. 36,32)...

პარალელურ ფორმათა სიმრავლით გამორჩეულია რაქამს // როდესაც // როდისაც // როდეს // როდესცა.

რაქამს ასაკად მოვა ყრბა იგი (I. 135,21); რაქამს ეზიარებოდეს (I. 146,27); რაქამს სასწორსა ასწევენ (I. 132,2—3); რაქამს სამართალს იჭმოდეს (I. 145,28); რაქამს ესეითარნი სცოდნედენ (I. 146,13);

როდესაც დიდი ეგრისი აუაშვილს სჭეროდეს, მაშინ ეს წისქვილი... მე მომცემოდესო (IV. 334,21); როდესაც მოვრჩი და მოველო, საძირკველი მიწას ზეით ამოგვიღებინათ (VI. 24,35); როდესაც ამის საბუთებს იესე მსაჯულის შეილება სამართალში მოატანენ, სამართალი მიეცემათ (VI. 39,18); მე როდესაც მოვსურთელდი, მაშინვე ცხენს შევკეკე (VI. 34,5); როდესაც ღმერთი შემაძლებინებს, ისევ თქვენს მონებას ქვეშე შევიქნა (VIII. 346,12).

როდისაც ის ვაგი დაიჭრა (I. 148,18); როდისაც შეიტყონ (I. 153,5); როდისაც კელში ჩაიგდონ (I. 140,11); როდისაც შირი ამოიკვეთოს... (IV. 349,3); როდისაც ისევ მევე დამრჩეს ნასყიდობით (IV. 349,3); როდისაც იგანი ოცდახუთის წლისა შექნებინან... (I. 135, 29—30); როდისაც ვისმე უსამართლოდ დაემართოს... (I. 147, 7—8); როდისაც სცოდავს ერისკაცი (I. 146, 9—10).

უფრო იშვიათია როდეს, როდესცა ფორმები:

იკლესიათა მამულზე როდეს შეექნათ ვისმე ცილება, ესრეთ ჭერ არს, რათა ოცდაათს წელიწადს ანუ ორმოცსა უნდა სინჯევდნენ და სამართლობდნენ (I. 138, 2—4).

როდესცა მცირეს რასმე ღთისათვის გლახას მისცემს, მცირედისათვის მწუხარე იქმნების... (I. 131, 34—35).

**როდესაც** კავშირის მნიშვნელობით ტექსტებში ძალიან ხშირია რომ:

ამათი საჩივარები რომ გავშინჯეთ, ყარაყასშვილებს ზევრი ავი სკირდაო ტარიელისშვილებსაგან... (IV, 332,13); ...რამ გავყრილვართო, წილში მომცემია (IV. 338, 21); თოფი რომ უნდა დაეკრა, სასხევი მოსტყდომოდა (IV. 359,11); ის რომ თქვენი ჭირის სანაცვლო შეიქნა, ჩემს დას ჰყვანდა (VIII, 339,2); ერასტი მდივანზეგი რომ მიცვილია, შემდგომად სახლისკაცებს ქაიხოსროს სარდრისათვის მიუციათ... (VIII. 347,19); ბორჩალოს რომ მივიდნენ, სახლში უნდა დამდგარიყვნენ (VI. 37,12).

ძველი ვითარ // ვითარცა-ს გვერდით ტექსტში როგორ // როგორც ფორმები გვხვდება:

ღთი ვითარ შემწიე იქმნების (I. 209,6). შდრ.: როგორ მიუგოს პასუხი (I. 133,7); ქაიხოსრო ბერს როგორ უჩივიათ (VIII. 348,2).

ვითარცა ბრძანებს თქრობირი (I. 131, 16—17); ვითარცა ძალი მიიქცა ნათხევარსა თვისსა (I.151,21); ვითარცა ფინიკი აღუყუადეს და ვითარცა ნაძვი ლიბანისა ეგრეთ გამრავლდეს (I. 132, 16—17).

შდრ.: სადეკანოზო, როგორც თქვენს კაცებს სჭეროდეთ, ისე ახლა ეჭიროსთ (IV. 325,30); ის სოფლები როგორც თქუენი ყოფილა, ისე თქვენ უნდა გეჭიროსთ (IV. 325,26); როგორც იმ ურჩიქს მართებული იყოს, იმდენი კაცი ასე შეაფიცოს პაპუნამ (IV. 329,2); როგორც ერთის თავადისშვილის ცოლის სამარხი მისცემოდეს, იმასაც ებოძოს (VIII. 339,9); როგორც ვანაჩენში სწერია, ასე აღასრულეთ (VI. 46,7)...

ახალ ფორმათა უპირატესობა აშკარაა.

რაოდენობრივად ახალი ქართულის სასარგებლოდ მეტყველებს რამეთუ // რადგან(ც) // რადგანაც კავშირთა ჩვენებაც:

რამეთუ ღთი არს სიმართლე (I. 129,28); რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა (I. 132,12); რამეთუ დტუთის მაცხოვარი (I. 132,11); რამეთუ ღთისაგან დადგინებული არს (I. 146,26); ამისათვის რამეთუ ზევრად ღირდა და... იაფად გამამართვა (I.137,21—22).

რადგან მეფემ შეუწდო (I. 214,11); რადგან დანელას შვილი... უძეოდ ამოვარდა... რადგან თავის ღედის მზითვისა იყო, ისეც ამ არუთინას მიეცა (IV. 322, 24—27); რადგან საქონლისაგან უწილო რჩებოდა, ბრალი იყო (IV. 324,32); რადგან არც მენახსოვრე არის, ის... სასახლეთ შანშეს დარჩა (VI. 26,12); რადგან ღიანზეგებს სამართლის განჩინება მიეცათ, იშის მიზეზით დავაყენეთ (VI. 40,17); ...რადგან მუდამ ასეთ შფოთში ვყუვარ, მე ასე მინდოდა... (VIII. 139,27)...

... რადგანაც შენც მანდა ხარ, ნურავის დააყენებ მოძალედ (VIII, 345,2); რადგანაც ეს მიწა დღეს ზაალს უჭირავს, ... ეს ორნი შედეგის ასე (VI, 27,30); რადგანაც ქვეითნი ვიყავით, სიცხის მიზეზით ღამე დავიწყვეით სიარული (VI, 34,25); რადგანაც ეს რიგანი და მართებული საქმე არა ქნეს... სახლში უნდა დამდგარიყვნენ (VI, 37,10).

... დარჩება საყდარი საკუთრად შანშეს, რადგანაც<sup>19</sup>... მამული... შანშეს აქვს ნასყიდი რამინისაგანა (VI, 28,18); რადგანაც ასე ყოფილა და ამათს უკითხავად მოპარვით მოუტაცნია, სამართალი ეს არის (VI, 57, 10—11); რადგანაც ასე ყოფილა, ზახას... წყალობის ოქმები გელოპი უჭირავს... (VI, 69, 19—20); რადგანაც ასე მოუარებულად ჩნდა, ... ფიცი შეუგდევით (VI, 85, 30—32).

საკმაოდ ხშირია ტექსტებში ერთმანეთის გვერდით უკუეთუ // უკეთუ // თუ რომ-ის მნიშვნელობითა და მის პარალელურად:

ქუქუეთუ ვისმე სჯულიერითა ქორწინებითა ქალთან (ყუანდეს შვილი... (I, 194,26); უკუეთუ სჯულიერისა ცოლისაგან შვილი არა ყუანდეს... (I, 195,1)...

უკეთუ ქურდი იბოს (I, 202,10); უკეთუ ის კაცი მდიდარი იყოს (I, 195,14); უკეთუ მამა მოუჟედეს (I, 195,8)...

...თუ ვერ დაიფიცოს, საერთოდ იყოს (IV, 329,31); უანდერძოდ თუ მოკუდეს ვინმე (I, 194,7); ...თუ ძველი მამული ას[ა]ლები გამოჩნდეს ან მისაცემი, საერთო არის (IV, 330,30); თუ დამბიზღებელი კაცი მოგედეს, კარგია (I, 274,5)...

შდრ.: ავად რომ გახდეს ვინმე და კუდებოდეს, ჯერ რომ ჰქუა კარგად ჰქონდეს და თვითან დასწეროს ანდერძის წიგნი... საჩივლელად მოსამართლესთან არ უნდა მივიდნენ (I, 194, 14—19); ვინცა ვინ რომ დააშავოს, წესი არა არს, რომ მაშინვე გარდააყდვიონ (I, 214, 31—32); ქურდმა კაცმა რომ მოიპაროს რამე, მისი დანაშაული შვილებს არ ეკითხება რა (I, 201,19)...

რომ კავშირი<sup>20</sup> ხშირად რომე სახითაც გვხვდება.

შდრ.: ამისთვის, რომ ამ გვარის საქმისათვის ნიადაგ ჩვენ ვერ მოგვიცლია (VI, 722, 12—13); ეს განჩინება ამისთვის არ მოგვეცით, რომ ოჯახში დავდევით ჩვენის პატრისათვის (VI, 40, 13—14)...

და: ამისათვის, რომე ეპისკოპოსი უპატიო იყო (I, 166,18); ამისათვის, რომე ის... ხედავდა (I, 180, 29)...

როგორც ამ მცირე მიმოხილვიდან ჩანს, განალიზებულ ტექსტებში თანაარსებობენ ძველი და ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმები. ძველი ქართულისათვის ნიშანდობლივ ფორმათა არსებობა გარკვეულწილად შეპირობებულია ტრადიციით, იურიდიუ-

<sup>19</sup> რადგან (რადგანაც) კავშირის მნიშვნელობით ტექსტში დასტურდება რახან (რათხან) ფორმაიც: რახან შევან აღარ დააჟიცა, მამულიცა და კაციცა... ამილბარის შვილს დარჩა (IV, 371,7).

<sup>20</sup> რომ საანალოზო ტექსტებში სხვა ფუნქციებითაც გვხვდება, მაგრამ ამ საკითხზე ახლა სიტყვას აღარ გვაგვრძელებთ.

ლი დოკუმენტის ჩახიზით... და კონკრეტულ შემთხვევებს ვარაუ-  
დობს:

ა) ხშირად არქაულია არხა-განჩინებათა დასაწყისები (მაგალი-  
თად: „ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა და მეოხებითა ყოვლად  
წმიდისა უხრწნელისა დედოფლისა ჩვენისა...: IV. 217, § 144);

ბ) ძველქართული ლექსიკა-ფრაზეოლოგია შეპირობებულია  
ტექსტის ავტორის ვინაობით, მისი წიგნიერების დონით, ხშირად გა-  
სათვალისწინებელია ადრესატის ვინაობაც (იხ. მაგ.: „მისისა უწმი-  
დესობისა კათოლიკოსისაგან მიწერილი ტფილელ მიტროპოლიტისა  
არსენისადმი“, VI. 411);

გ) ხშირად ვხვდებით ბიბლიური წიგნებიდან ამოღებულ ფრა-  
ზებს (მაგ.: „სამეოცდამეათხუთმეტე კანონი წმიდათა მოციქულთა  
ბძანებს: მწვალებელთა მოწმობასა ნუ ირწმუნებთ, არცა ერთისა  
ქრისტიანისა მოწმობასა არა დაიჯერებთ“... I. 166, § 143);

დ) ასევე ხშირია ტექსტებში ერთგვარ ფორმულებად ქცეული  
გამოთქმები („სახელითა ერთარსება ღმრთისადა, მამისა, ძისითა,  
სულითა წმიდისითა“..., „წმიდათა მოწამეთა“, „არა ჯერ არს“, „წყა-  
ლობითა ღმრთისათა“...) და ა. შ.

ამავე დროს ქართული სამართლის ძველთა მე-18 საუკუნის მა-  
სალაში თვალსაჩინოა ახალქართული სასაუბრო მეტყველებისათვის  
დამახასიათებელ ფორმათა სიჭარბე. ეს ტენდენცია მით უფრო საგ-  
რძნობია, რაც უფრო ვმორადებით საუკუნის დამდეგს... ერთი სიტ-  
ყვით, საანალიზო მასალა ატარებს გარდამავალი პერიოდისათვის და-  
მახასიათებელ ნიშნებს მკვეთრად გამოხატული ტენდენციით ახალი  
ქართულისაკენ.